საპროექტო ობიექტის და ადგილის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

თბილისი

აბანოს ქუჩა №31



ხედი ერეკლეს აბანოდან, 2021 წ.



ხედი ერეკლეს აბანოდან, 2002 წ.

შემსრულებელი:

ხელოვნებათმცოდნე –
გია ჭანიშვილი

ს/კ 01.18.03.063.011

შ პ ს
„ძველი უბანი“
იანვარი
2025

საპროექტო ობიექტის ადგილმდებარეობა



თბილისის არქიტექტურული ძეგლების რუკა, 2007წ.

პირობითი აღნიშვნები

- ეროვნული მნიშვნელობის ძეგლი (სარეკრეაციო ზონა)
- ძეგლი
- ფონური
- რიგითი
- შეუსაბამო
- ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონის საზღვარი

საპროექტო ობიექტი არქიტექტურული ძეგლია
აბანოს ქ. №31

ირგვლივ არქიტექტურულ ძეგლად აღრიცხულია:

აბანოს ქუჩაზე – საცხოვრებელი სახლები: №№ 1,13,15,17,19,,21,23,25,29. აბანოები: „ჭრელი“, „ერეკლესი“, „მეითარის“, „გოგირდის“.

აბანოს შესახვევში – საცხოვრებელი სახლები: №№10,13 და ქუჩა-კიბე;

ბოტანიკურის ქუჩაზე – საცხოვრებელი სახლები: №№ 9, 16, 22 და 24.

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის № 3/181 ბრძანების დანართი №1

რუკა შედგენილია თბილისის საყრდენი გეგმის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს დაკვეთით, „გეოფრაფიკის“ მიერ, 2007 წ.

საპროექტო ობიექტი (არქიტექტურული ძეგლი) მდებარეობს თბილისის ისტორიული ნაწილის უბან ხარფუხში – დღეს აბანოთუბანი (კრწანისის მუნიციპალიტეტი) – **აბანოს ქ. №31.** საპროექტო წინადადებით განსაზღვრულია ჭრელი აბანოს გვერდით მდებარე ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის **კონვერტული სახურავის კრამიტის საბურავის განახლება და საფასადო კარ-სარკმელთა მოდიფიცირება.** წავკისისხევის (ლეღვთახევის) გასწვრივ მდებარე აბანოს ქუჩა მოიცავს XXს-ის ბოლო მესამედში, უბნის რესტავრაცია-რეგენერაციის დროს განახლებულ ძველ აბანოებს და საცხოვრებელ სახლებს.

აბანოს მოკლე ქუჩა იწყება **ვახტანგ გორგასლის** ქუჩიდან, მტკვრის მარჯვენა სანაპიროსთან. სამხრეთისკენ გადაკვეთს **აბანოთუბანს** და ჭრელ აბანოსთან გრძელდება **აბანოს** ვიწრო შესახვევით. ქუჩის კენტრიცხვებიან განაშენიანებას აბნოთუბნის აივნიანი სახლები მიუყვება, ლუწრიცხვებიან მხარეს კი, წავკისისხევის გასწვრივ აბანოების რიგია. აბანოს ქუჩის ზემოთ, დასავლეთით, ნარიყალას ციხის გალავნის კედლების ქვეშ რთულ რელიეფზე, ბოტანიკურის ქუჩაზე შეფენილია საცხოვრებელი სახლები. წავკისისხევის ზედა ნაწილში კი, კლდოვან ფერდობზე ბოტანიკური ბაღია. ამ ადგილიდან იწყება თბილისის ისტორიული ლანდშაფტის ზონა.



აეროფოტო 2023 წ.



უბანი ციხე-დაბალი,დაბახანა, ხედი სეიდაბადიდან
მხატვ. ნ. ჩერნეცოვი, გრაფიკა 1831წ.



აბანოთუბნის ფრაგმენტი, XIX ს-ის დასასრული
საქართველოს ცენტრალური კინო-ფოტო-ფონო არქივის ფონდი ©

XIXს-დე ამ უბანს ციხე დაბალი ერქვა ბანური სახლებით. გოგირდის აბანოთა სიმრავლით და სავაჭრო ბაზარ-მოედნებით. XIX ს-ის ბოლოს ქალაქის ეს ნაწილი მჭიდროდაა განაშენიანებული და მისი საზღვრები მიჰყვება აქაურ რთულ ბუნებრივ-გეოგრაფიულ მოცემულობებს. ამოავსეს წავკისის ხევის (მაშინდელი დაბახნის) ქვედა ნაწილი და ორივე მხარეს განაშენიანდა აბანოს ქუჩა. ბანიანი სახლების ადგილს თბილისური ტიპის აივნიანი სახლები იკავებს.

უბნის დღევანდელი ურბანული სახე წარმოადგენს – ისტორიულად ჩამოყალიბებულ არქიტექტურულ-გეგმარებით საფუძველზე XXს-ის II ნახევარში ჩატარებულ სარესტავრაციო-საადაპტაციო სამუშაოების პროდუქტს. საპროექტო სახლი აგებულია XIXს-ის II ნახ-ში და ადაპტირებულია XXს-ის ბოლოს.

საპროექტო ობიექტი



ხედი აბანოს ქუჩიდან, 2008წ.

საპროექტო ნაგებობა, ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს ჭრელი აბანოს გვერდით და გრძივი ფასადით გამოდით აბანოს ქუჩის პერიმეტრზე. ქუჩის მხრიდან II სართულზე შემოფარგლულია ხის აივნებით. გადახურულია კრამიტის საბურავიანი კონვერტული გადახურვით. ჩრდილოეთიდან აუყვება ქუჩა-კიბე, რომელიც ისევე როგორც საპროექტო საცხოვრებელი სახლი ძეგლად არის აღრიცხული. ნაგებობა ქუჩა-კიბესთან კუთხეში საშუალო სიმაღლის ღობით შემოიზღუდავს მცირე ეზოს. დგას რთულ რელიეფზე და უკანა მხრიდან დამრეცი რელიეფის გამო მხოლოდ ზედა ერთი სართულით გამოდის. XIXს-ის I ნახევარში აქ იდგა ბანიანი შენობა რომელიც იმავე საუკუნის შუა ხანებში გადაკეთდა თბილისურ აივნებიან ორსართულიან საცხოვრებელ სახლად. იგი შემდეგ მრავალჯერ გადაუკეთებიათ. შეეცვალა თუნუქის საბურავიანი ცალქანობიანი გადახურვა კონვერტულით, შეეცვალა აივნების სახე, შემდეგ აივნების ნაცვლად ზოგან მოეწყო შემინული შუშაბანდი. XXს-ის ბოლოს უბნის რეაბილიტაციის დროს მოხდა მისი აღდგენა XXს-ის დასაწყისის სახის ოდნავი ცვლილებით. თუნუქის ნაცვლად მოეწყო კრამიტის საბურავი. 1990-იან 2000-იან წლებში საფასადო სარმლების ალათები შეუცვალეს ლითონ-პლასტმასის მასალით და მოეწყო ლითონის გისოსები.



ხედი აბანოს ქუჩიდან



გისოსებიანი სარკმლები



ხედი უკანა ქუჩა-კიბიდან.



საპროექტო ობიექტი, 1880-იანი წწ.



საპროექტო ობიექტი, XIXს-ის დასასრული



XIX-XXსს-ის მიჯნა



XXს-ის I ნახ.



XXს-ის II ნახ.

სახლი ბევრჯერ არის შეცვლილი რაც ნათლად ჩანს საარქივო ფოტოებზე. ბოლოს მისი მოდიფიცირება მოხდა 1980-იან და უკანასკნელად 2000-იან წლებში.

დასკვნა და რეკომენდაციები:

ამ უბნის განაშენიანება საუკუნეების განმავლობაში, განვითარდა და ჩამოყალიბდა განსაზღვრულ გეოგრაფიულ რელიეფზე ისტორიულ-სოციალური და მხატვრულ-არქიტექტურული ფაქტორების შედეგად. ამან განაპირობა უბნის ურბანული ქსოვილისის არქიტექტურა, რაც ზოგადად საერთოა ძველი თბილისისთვის, თუმცა, მას გააჩნია საკუთარი კრიტერიუმებიც.

უბნისთვის დამახასიათებილია რთულ რელიეფზე მორგებული გეგმარებითი, სივრცობრივი და მხატვრული ხერხების სინთეზი. აქ თითოეული ნაგებობა მნიშვნელოვნად მონაწილეობს უბნის საერთო მხატვრულ-არქიტექტურული სახის აღქმაში და ყოველი მათგანი საინტერესოა არა მხოლოდ გეგმარებითი სტრუქტურით, არამედ რელიეფზე განთავსების ორიგინალური ხერხით.

ასეთივეა საპროექტო ნაგებობა – XIXს-ის თბილისური საცხოვრებელი სახლი, სხვა სახლთა მსგავსად განვითარებული აქ მანამდე არსებულ ბანურ სტრუქტურებზე. სახლი შემდეგ რამდენიმეჯერ არის სახეცვლილი, რაც ნათლად ჩანს საარქივო ფოტოებზე.. უკანასკნელად მისი მოდიფიცირება მოხდა XXს-ის ბოლო მეოთხედსა და XXIს-ის დასაწყისში. ნაგებობის თავდაპირველი სახე და ზოგადი სტრუქტურა შენარჩუნებულია, თუმცა, შეცვლილია ფასადების ფერი და ასევე თუნუქის ნაცვლად მოეწყო კრამიტის საბურავი.

ამჟამად, განსაზღვრულია ნაგებობის მხოლოდ კონვერტული სახურავის კრამიტის საბურავის განახლება და კარ-სარკმელთა მოდიფიცირება. ამიტომ, რეკომენდაციებს წარმოგიდგენთ მხოლოდ ამ მიმართულებით:

ამისთვის სასურველია საარქივო ფოტოების გამოყენება. წლების განმავლობაში ხდებოდა სარკმლების სტრუქტურისა და მასალის ცვლილება. ასევე შეცვლილია ფასადის ნალესობის ფერი. ამიტომ:

– შესაძლებელია ღიობების ალათების მოწყობა ახალი მასალით. ოღონდ სასურველია აღდგეს რეაბილიტაციის დროს მოწყობილი ღიობების ალათების სტრუქტურა და გაბარიტები;

– კარ-სარკმელთა ჩარჩოების შეცვლის დროს შესაძლოა დაზიანდეს ღიობთა წირთხლები. ამიტომ, სასურველია წირთხლების აღდგენა და დღეს არსებული ნალესობის ტონალობის საღებავით დაფერვა. ასევე შესაძლებელია მიმდებარე საფასადო დაზიანებული არეების დაფერვა იგივე ტონით;

– ასევე შესაძლებელია გადახურვის კრამიტის საფარის გამოცვლა სახურავის ქანობების სტრუქტურისა და ფორმის შეუცვლელად;

– სასურველია საპროექტო განახლებული სახის თვალსაჩინოდ და რეალობასთან მიახლოებულად ფოტოილუსტრირება და საფასადო სახის ჩვენება სხვადასხვა მხრიდან, ოღონდ არსებული და საპროექტო ფოტომონტაჟების შესრულებით ერთი და იგივე რაკურსებიდან.

ხელოვნებათმცოდნე – გია ჭანიშვილი

22. 01. 2025